სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

92937334459326

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260865002

რეგისტრაციის თარიღი

30.06.2026 წ

ნოტარიუსი: ნინო კევლიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი N71
ტელეფონი: 577929296

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდაათ ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო კევლიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი N71, მომმართა „საკუთრების მიმნდობმა“, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე, დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევადგინე მინდობილობის პროექტი, წავუკითხე, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. განმარტებების მოსმენის შემდეგ მან თავადაც წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა, მოიწონა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და ნოტარიუსისაგან მიიღო ჯეროვანი განმარტებები. ამის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

საკუთრების მიმნდობი:

მედეა კვირკვია (დაბ:16.06.1966წ., პ/ნ 51001000863, მცხ.წალენჯიხა, ს. ჯგალი მე–17 ქ. N 38)

მინდობილი პირი:

თეონა თურმანიძე (დაბ:05.03.1981წ., პ/ნ 01017013835, მცხ: ქ. თბილისი, მიტროფანე ლაღიძის ქ. N 6/9)

მინდობილობა

უფლებამოსილების ფარგლები:

„საკუთრების მიმნდობი“ „მინდობილ პირს“ ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას მიმნდობის ინტერესები ნებისმიერ სახელმწიფო, კერძო, თვითმმართველობის, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ორგანიზაციასა და დაწესებულებებში, მათ შორის, იუსტიციის სახლში (მის ნებისმიერ სამსახურში), საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალურ ერთეულებში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ნებისმიერი რაიონის გამგეობაში, საკრებულოში, ნებისმიერ კომისიაში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში (მათ შორის, ნებისმიერი წყლის, გაზის, ელექტროენერგიის კომპანიებში), სასამართლო ორგანოებში, ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებთან და სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან ურთიერთობაში, მათ შორის მიმნდობის სახელით შეასრულოს შემდეგი მოქმედებები: წარმოადგინოს მიმნდობი ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით კერძოდ, აიღოს მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აშენების/ მიშენების/ დაშენების /დემონტაჟის, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნებართვები, აწარმოოს ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობასთან ან დემონტაჟთან, რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საქმეები, მოახდინოს სარეკლამო აბრის/ბანერის განთავსება, შესაბამისი ნებართვების მიღება , შეადგინოს მშენებლობის პროექტები, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადა, განახორციელოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გააგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, იმოქმედოს უძრავი ქონების ექსპლუატაციაში მიღებასთან, დოკუმენტაციების შეყვანასთან დაკავშირებით, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, დააზუსტოს ფართი, დაადგინოს წითელი ხაზები, მოახდინოს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, ხარვეზის გამოსწორება. მოახდინოს სატრანსპორტო საკომუნიკაციო გზის მოწყობა, მრიცხველის დაყენება, კომუნიკაციების: წყლის, კანალიზაციის, გაზის, დენის შეყვანა, (მონტაჟი, დემონტაჟი, გამრიცხველიანება). აღნიშნული დავალებების განხორციელების მიზნით მიმნდობის სახელით შეადგინოს ნებისმიერი შინაარსის დოკუმენტი (განცხადება, თანხმობა, გარიგება და სხვა) დანიშნულიბისამებრ წარსადგენად, გადაიხადოს და/ან დაიბრუნოს დაწესებული გადასახადები, ჩააბაროს და/ან მიიღოს (გამოითხოვოს, დაამზადოს, შეადგინოს და სხვ.) ნებისმიერი სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი (ამონაწერები, ცნობები, ხელშეკრულებები და სხვა დოკუმენტაცია) და ხელი მოაწეროს (უძრავი ქონების განკარგვის/გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის გარდა).

მინდობილობა გაცემულია ხუთი თვის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნინო კევლიშვილის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა საკუთრების მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 26.24 ლარი, აქედან: 18.00 ლარი, ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N507-ე დადგენილების 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დღგ 3.24 ლარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად და 5.00 ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური საქართველოს მთავრობის ამავე დადგენილების (№507, 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

საკუთრების მიმნდობი: ----------

ნოტარიუსი ნინო კევლიშვილი